გაკვეთილის გეგმა

(ჩატარების თარიღი-6.11.2017)

მასწავლებლის სახელი,გვარი:ნათელა მაჭარაშვილი

საგანი:ისტორია

სწავლების საფეხური/კლასი:საშუალო/XI[1]კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა:31

გაკვეთილის თემა:ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოში.მსოფლიო საეკლესიო კრებები და საქართველო

გაკვეთილის მიზანი:

-მოსწავლეები შეძლებენ განსაზღვრონ ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში და მისი გავლენის გავრცელება ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურაზე ;

-მოსწავლეები შეეცდებიან გაავლონ პარალელი სხვა რომელიმე ქრისტიანულ ქვეყანასთან/ქვეყნებთან;

-მოსწავლეები შეძლებენ განსაზღვრონ სასულიერო და საერო პირების ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ პერიოდში.

#	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო
1	გაკვეთილის დასაწყისში ხდება მოსწავლეთა დაჯგუფება დანომრილი ბურთულებით(ბურთულები დანომრილია 1-დან 4-ის ჩათვლით).შესაბამისად შეიქმნება ოთხი ჯგუფი; მოსწავლეები მიდიან მასწავლებლის მაგიდასთან და იღებენ კალათში ჩაყრილ პატარა დანომრილ ბურთულებს.მათ ეძლევათ **ინსტრუქცია**-პირველი ნომრის მფლობელნი თავს მოიყრიან პირველ მაგიდასთან(მაგიდები დანომრილია),მეორე ნომრის მფლობელნი -მეორე მაგიდასთან.ასეთი სახით მოხდება დაჯგუფება მესამე და მეოთხე ნომრების შემთხვევაშიც. (თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები მთელი გაკვეთილი ჯგუფებად იმუშავებენ) .	ინსტრუქცია, დაჯგუფება შემთხვევითობის პრინციპზე დაყრდნობით,	ინდივიდუალური	ფენოპლასტის ბურთულები	1წთ

2	საშინაო დავალების მოკლე ანალიზი-მოსწავლეების მიერ წინა დღით ელფოსტაზე გადმოგზავნილ დავალებაზე უკუკავშირი ჩემს მიერ ხორციელდება ელფოსტის მეშვეობით, რომლის შესახებ მოკლე მიმოხილვას ვაკეთებ,ხოლო მათ, ვინც გაკვეთილზე წარმოადგინეს დავალება, ავარჩევ ორ განსხვავებულ ვარიანტს(წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენილს) და მოხდება ამ დავალების კლასის წინაშე წარდგენა.დანარჩენ ნაშრომებს ავკრებ და მომდევნო გაკვეთილისთვის წერილობით მივაწოდებ უკუკავშირს.	განსხვავებული საშინაო დავალების კლასის წინაშე წარდგენა და მასწავლებლის უკუკავშირი,გადმოგზავნილ დავალებებზე მასწავლებლის მოკლე კომენტარი	ინდივიდუალური ან ჯგუფური(რადგან დავალება შეეძლოთ შეესრულებინათ ინდივიდუალურადაც და ჯგუფურადაც)	საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები	2წთ
3	გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.	ზეპირი განმარტება, p.p.ით დემონსტრირება,ამობეჭდილი ვერსიის დაფაზე დაფიქსირება.	საერთო საკლასო	კომპიუტერი, პროექტორი, თაბახის ფურცელზე ამობეჭდილი ვერსია	1 წთ.

4	„ შეხსენების ერთი წუთი„ -ჯგუფებს ეძლევათ დავალება,რომ ერთი წუთის მანძილზე ფლიპჩარტზე ჩამოწერონ , თუ რა იციან ამ კონკრეტული თემის შესახებ(ჩაწერა უნდა მოხდეს მუხლობრივად) და ერთი წინადადებით განსაზღვრონ, თუ რა მოლოდინები აქვთ დღევანდელი გაკვეთილისგან.	თემის შესაბამისი მასალის გახსენება-სისტემატიზაცია, დავალების წერილობით წარმოდგენა/დემონსტრირება,მოლოდინების განსაზღვრა	ჯგუფები	ფლიპჩარტები, მარკერები	3წთ(1წთ-ფლიპ ჩარტზე დაფიქსირება, 2წთ-კლასის წინაშე წარდგენა-30წმ თითო ჯგუფს)

5	მოსწავლეებს ურიგდებათ ფლიპჩარტები და ეძლევათ დავალება:წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ გიდი და წარმოადგენთ იმ ტურისტულ ფირმას, რომელიც ტურისტებს ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანული ტაძრების ნახვას სთავაზობს. თქვენ(ჯგუფებს) გეძლევათ დავალება, რომ შექმნათ პოსტერები, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევს ხელოვნების ამ უნიკალურ ძეგლებს და შესაბამისად, თქვენს ფირმასაც მოგებას მოუტანს.ყველა ჯგუფი წარმოადგენს შესრულებულ დავალებას.შეგიძლიათ გამოიყენოთ ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი ან ტელეფონი.	გიდის როლის მორგება,პოსტერული სესია, ვიზუალური მოგზაურობა,ილუსტრირება ,ჩანაწერების გაკეთება, ინტერნეტის გამოყენება,ვერბალური ახსნა,დემონსტრირება.	ჯგუფები	ფლიპჩარტები, მარკერები,კომპიუტერი, ტელეფონი, ფერადი ფანქრები	9 წთ.(5წთ პოსტერების შექმნა,4წთ კლასის წინაშე წარდგენა-1წთ თითო ჯგუფს)
6.	მოსწავლეებს ვთხოვ ,რომ გაიხსენონ საქართველოში ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული სასწაულები და შეაფასონ სასწაულების როლი საქართველოს რეალურ ისტორიაში,დააკავშირონ სასწაულები ადამიანთა მატერიალურ თუ სულიერ კულტურასთან. მოსწავლეების პასუხების	კონკრეტული ფაქტების გახსენება,ანალიზი,კონკრეტული შემთხვევების შეფასება,კვალიფიციური აზრის მოსმენა მოძღვრისაგან	ინდივიდუალური	ვიდეოჩანაწერი	4წთ(1წთ ინფორმაციის მიღება მოსწავლეებისაგან,3წთ-ვიდეო ჩანაწერის მოსმენა

	შემდეგ მოსწავლეები უსმენენ სხვიტორის მოძღვრის-დეკანოზ მამა მიქაელის კვალიფიციურ აზრს ზოგადად,სასწაულის შესახებ.				
7	მოსწავლეებს ეძლევათ წასაკითხად სახელმძღვანელოში(ამ კონკრეტული პარაგრაფის) მოცემული წყარო#2. წყაროდან გამომდინარე, მათ უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს: 1.რატომ ეწინააღმდეგებიან მთიელები ქრისტიანობის გავრცელებას? 2.როგორ შეიძლება აღმოეფხვრათ წინასწარი განწყობები და ცრურწმენები მთიელთა გონებიდან? 3.რა გავლენას მოახდენდა ქრისტიანული სარწმუნოება მათ ყოფაზე? 4. შეიძლებოდა თუ არა მთიელებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება?პასუხი არგუმენტირებულად დაასაბუთეთ(მცირე მსჯელობა ამ კითხვასთან დაკავშირებით).	წყაროზე მუშაობა, კითხვა-პასუხი, კონკრეტული შემთხვევის ანალიზი,დასკვნების გაკეთება,მცირე მსჯელობა მეოთხე კითხვასთან დაკავშირებით	ინდივიდუალური	სახელმძღვანელო	6 წთ(2წთ- სამ კითხვაზე პასუხებისთვის, 4წთ -მცირე მსჯელობა მეოთხე კითხვასთან დაკავშირებით)

8	ყველა ჯგუფს ურიგდება სხვადასხვა შინაარსის ტექსტი.ჯგუფებმა ტექსტის წაკითხვის შემდეგ უნდა განსაზღვრონ,რა მნიშვნელოვანი მიმართულებები იკვეთება ამ კონკრეტულ ტექსტებში(უნდა მონიშნონ ეს მიმართულებები) და რა სახის დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ეს მოკლე ტექსტი(ყველა ტექსტში სხვადასხვა მიმართულება ჩანს).	ტექსტებზე მუშაობა,ანალიზი,ჩანაწერების გაკეთება,ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა,ტექსტის მარკირება,ნაშრომის წარდგენა კლასის წინაშე	ჯგუფები	დაბეჭდილი ტექსტები, მარკერები	7წთ(3წთ ტექსტებზე მუშაობა, 4წთ კლასის წინაშე წარდგენა-1წთ თითო ჯგუფს)
9	მინი-ლექცია მსოფლიო საეკლესიო კრებების შესახებ-მოსწავლეებს განვუმარტავ, რომ მათ სახელმძღვანელოში მოცემული მსოფლიო საეკლესიო კრებები უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ცხრილის სახით წარმოვადგინე, რათა ერთიანობაში აღიქვან ამ კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებები.	მინი-ლექცია,კონკრეტული თეორიული მასალის ცხრილის სახით წარმოდგენა(მასწავლებლის მიერ)-ინფორმაციის ტრანსფორმაცია	საერთო საკლასო	p.p.-ში შეტანილი ცხრილი მსოფლიო საეკლესიო კრებების შესახებ,სახელმძღვანელო,უცხო ცნებების განმარტება	2წთ
10	მონიტორზე გამომაქვს სხვადასხვა მართლმადიდებლური ქვეყნების ტაძრები და მოსწავლეებმა უნდა უნდა უპასუხონ კითხვას: 1.რა სახის დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გაძლევთ ეს ტაძრები თემასთან/მიზანთან მიმართებაში ? 2.პოლიტიკურ რუკაზე მოძებნეთ ყველა	ფოტოებზე დაყრდნობით ინფორმაციის გადმოცემა,შესაბამისობის დადგენა ტაძრებსა და ზოგადად, ქრისტიანულ სარწმუნოებას შორის,პარალელის გავლება ტაძრებსა და	ინდივიდუალური	p.p.-ში შეტანილი სხვადასხვა მართლმადიდებლური ქვეყნების ტაძრები,(ლინკები შეტანილია ჩემს	2წთ

	ის ქვეყანა, რომელიც ფიგურირებდა ამ ტაძრების ჩვენების დროს(გაავლონ პარალელი დაფიქსირებულ ტაძრებსა და ქვეყნებს შორის) 3.როგორია ქრისტიანობის გეოგრაფიული გავრცელების არეალი?ამ კითხვაზე პასუხის შემდეგ მოსწავლეები რელიგიურ რუკაზე დატანილ ინფორმაციას აანალიზებენ. ერთ-ერთი მოსწავლე,რომელიც(როგორც თვითონ განმარტავს), არამართლმადიდებელია, თუმცა ქრისტიანი , რამდენიმე სიტყვით წარმოგვიდგენს მისი რელიგიური მიმართულების გავლენის არეალს.	ქვეყნებს შორის პოლიტიკური რუკის დახმარებით, რელიგიური რუკის ანალიზი,მოსწავლის რესურსად გამოყენება		პრეზენტაციაში p.p.-ში) , მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, რელიგიური რუკა,მოსწავლე, როგორც რესურსი	
11	მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას-იყო თუ არა გარკვეული საფუძველი ქრისტიანობის დასამკვიდრებლად საქართველოში წმინდა ნინოს შემოსვლამდე? პასუხი დაასაბუთეთ.(მოსწავლეთა პასუხის შემდეგ სლაიდზე გამომაქვს ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა და მატათას სურათები) და მოკლედ განვსაზღვრავ მათ მიერ გავლილ გზას საქართველოში.	კითხვა-პასუხი,ჰიპოთეზები , ალტერნატივები,დასკვნების გაკეთება	ინდივიდუალური	p.p.-ის სლაიდი ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა და მატათას სურათით და (ლინკები შეტანილია ჩემს პრეზენტაციაში p.p.-ში)	2წთ

12	ერთობლივი რესურსის შექმნა-მოსწავლეები დაფაზე გაკრულ ფორმატზე(სადაც ჩემ მიერ წინასწარ დატანილია კონკრეტული ინფორმაცია/ნახატი) აფიქსირებენ ცალკეულ დეტალებს(სიმბოლური, წერილობითი თუ ნახატის სახით) თემასთან დაკავშირებით ,გაკვეთილზე მიღებული ცოდნის საფუძველზე(მოსწავლეებს ამ რესურსზე ინფორმაციების დამატების/შევსების შესაძლებლობა აქვთ შემდეგ გაკვეთილზეც სახლში ცოდნის გაღრმავების შემდეგ) .	ფორმატზე ინფორმაციების დატანა ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით,ცოდნის დემონსტრირება(გადმოცემა) ილუსტრაციებით, ჩანაწერებით ,სიმბოლოებით ,მომდევნო გაკვეთილზე ინფორმაციის დამატების უფლება	ინდივიდუალური	ფორმატი,მარკერები,ფერადი ფანქრები	2წთ
13	შეფასება	განმავითარებელი შეფასება კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით	საერთო საკლასო-ინდივიდუალური შეფასება, ჯგუფების შეფასება	შეფასების კრიტერიუმები-მცირე მსჯელობის შეფასების რუბრიკა, დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის, ზეპირი კომენტარი,	2წთ

				არაფორმალური დაკვირვება,მიზნის შესაბამისი კრიტერიუმები	
14	ვუბრუნდებით ჯგუფების მიერ დაფიქსირებულ მოლოდინებს და მოსწავლეები განსაზღვრავენ, გამართლდა თუ არა მათი მოლოდინები,შემდეგ კი ახორციელებენ უკუკავშირს ზეპირად კონკრეტულ კითხვებზე დაყრდნობით(იხ. გეგმის ბოლოს)	მოსწავლეთა უკუკავშირი-ბლიცუკუკავშირი p.p.ში დაფიქსირებულ კითხვარზე დაყრდნობით	ინდივიდუალური	უკუკავშირის კითხვარი p.p-ში, გამოსაძახებელი ჩხირები მოსწავლეთა სახელითა და გვარით	2წთ(1წთ-მოლოდინების განხილვა, 1წთ-ბლიცუკუკავშირი)

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

-მოსწავლეებმა განსაზღვრეს ქრისტიანობის შემოსვლა/გავრცელება საქართველოში და მისი გავლენა ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურაზე;

-მოსწავლეებმა გაავლეს პარალელი სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან;

-მოსწავლეებმა განსაზღვრეს სასულიერო და საერო პირების ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ პერიოდში;

შეფასება: განმავითარებელი შეფასება – მცირე მსჯელობის შეფასების რუბრიკა, დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის, ზეპირი კომენტარი, არაფორმალური დაკვირვება,მიზნის შესაბამისი კრიტერიუმები, მოსწავლეთა უკუკავშირის კითხვარი.

მცირე მსჯელობის შეფასების რუბრიკა (#7 აქტივობის მეოთხე კითხვა)

კრიტერიუმები	**ცუდად**	**ნაწილობრივ**	**კარგად**
მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს;			
მსჯელობს არგუმენტირებულად;			
აკეთებს შესაბამის დასკვნებს;			
კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს;			

დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის

1.სრულად
2.საკმაოდ
3.მცირედ

4.საერთოდ არა

ჯგუფები	დროის ლიმიტის დაცვა	თანამშრომლობა	სხვა ჯგუფების მოსაზრებიისადმი პატივისცემა	წარმოდგენილი ინფორმაციის დავალებასთან შესაბამისობა
1				
2				
3				
4				

მიზნის შესაბამისი კრიტერიუმები

კრიტერიუმები	სრულად	ნაწილობრივ
მოსწავლეებმა განსაზღვრეს ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში და მისი გავლენა ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურაზე		
მოსწავლეებმა გაავლეს პარალელი სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან		
მოსწავლეებმა განსაზღვრეს სასულიერო და საერო პირების ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ პერიოდში		

მოსწავლეთა უკუკავშირის კითხვარი

მოსწავლეებს შეუძლიათ უპასუხონ ერთ-ერთ კითხვას ან ყველას(თავისი სურვილის მიხედვით)

1.დაასახელე ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი,რაც დღეს პირველად გაიგეთ.რატომ არის ეს საკითხი შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?
2.როგორ გამოვიყენებ ამ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში?
3.რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი და რატომ?

ხელმოწერა: **/ნ.მაჭარაშვილი/**

თარიღი: